# საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 1
25 თებერვალი
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის


## იურიდიული დახმარების სამსახური დღეს

3-4 გვ.




## საზოგადოებრივი ადვოკატი პასუხობს თქვენს შეკითხვებზე

?

3 გვ.

## გამართლებული განსასჯელი

განსასჯელის გამართლება საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

3 გვ.



# „ჩვენ ვითანამშრომლებთ საერთო მიზნების განსახორციელებლად“

**ინტერვიუ ბატონ ჯეიმი მაკგოლდრიკთან – გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში, გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში**



**– იურიდიული დახმარების სამსახურისათვის გასული წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა UNDP-ის ორწლიანი პროექტის დაწყება, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერას ითვალისწინებს. რატომ ჩაერთო გაეროს განვითარების პროგრამა ამ პროექტის განხორციელებაში? რა შეფასებას მისცემდით 2009 წელს პროექტის ფარგლებში გაწეულ საქმიანობას? განსაკუთრებით ხომ არ გამოყოფდით რაიმე აქტივობას?**

– გაეროს განვითარების პროგრამა, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ნაწილი, მართლმსაჯულების უზრუნველყოფასა და იურიდიული დახმარების განვითარებას ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროგრესის ნაწილად მიიჩნევს. მე ვფიქრობ, რომ ზოგადად საერთაშორისო საზოგადოება და საქართველოს მთავრობა ამ საკითხს განიხილავს, როგორც ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონეს. ჩვენთვის იურიდიული დახმარების კომპონენტი და ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. მიგვაჩნია, რომ ეს პროექტი და მთლიანად იურიდიული დახმარების სისტემა დემოკრატიული პროგრესისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. იმდენად, რამდენადაც მართლმსაჯულების რეფორმა გრძელდება, გაეროს განვითარების პროგრამა ისევ გააგრძელებს მის მხარდაჭერას.

ბევრ ქვეყანაში არსებობს სოციალურად დაუცველი ფენა, რომელსაც ხელი უნდა მიუწვდებოდეს იურიდიულ დახმარებაზე. მთავრობამ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება მეტ ადამიანს შეეძლოს უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობა. ჩვენ იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დავიწყეთ და ხელი შევუწყეთ შიდა ქართლში იურიდიული დახმარების ბიუროს საქმიანობას. ვფიქრობ, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ასეთი ტიპის დახმარების აღმოჩენა მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ ვატარებდით ტრენინგებს, რაც ასევე აუცილებელია. იურიდიული დახმარების სამსახურის ამოქმედება უდაოდ კარგია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას სრული ინფორმაცია ჰქონდეს თავისი უფლებების შესახებ, იცოდეს თუ სად შეიძლება ისარგებლოს იურიდიული დახმარებით.

**– როგორ გესახებათ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან მომავალი თანამშრომლობა?**

– დიდი სამუშაო განხორციელდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან ერთად სამცხე-ჯავახეთში იურიდიული დახმარების ბიუროს ჩამოყალიბების კუთხით. ოფისის მშენებლობა დასრულებულია და ახლა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროს მთავრობა ყურადღებით ეკიდება. ეს რეგიონი ეროვნული უმცირესობებით არის დასახლებული და ასეთი მომსახურების შეთავაზება მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ასევე უნდა აღინიშნოს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ადვოკატირების, პრეზენტაციისა და ეფექტური კომუნიკაციის წარმოების უნარ-ჩვევები. ხალხმა უნდა იგრძნოს რომ კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას იღებს ადვოკატების მხრიდან.

გაეროს განვითარების პროგრამა იურიდიულ დახმარებას ძალზე ღირებულ მომსახურებად მიიჩნევს და მის მხარდაჭერას მომავალშიც გეგმავს. ჩვენ ვითანამშრომლებთ საერთო მიზნების განსახორციელებლად, რაც გამოიხატება ქვეყანაში მაქსიმალურად ბევრი მოქალაქისათვის ხარისხიანი იურიდიული დახმარების მიწოდებაში.

## იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე – სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

# ირაკლი კობიძე: „დაცვის უფლება, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, ყველასთვის უნდა იყოს ერთიანი“

*იურიდიული დახმარების სამსახური ბოლო წლებში საქართველოში შექმნილ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად მოიაზრება. საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით სოციალურად დაუცველი ფენა, თუ უფასოდ სისხლის სამართლებრივი პრობლემების მოგვარებას ცდილობს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ასევე უფასოდ შეუძლია მისთვის საჭირო ნებისმიერ სამართლებრივ საკითხში კონსულტაცია მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური რამდენიმე წელია არსებობს და მისი ადვოკატების მომსახურებით უკვე ათასობით საქართველოს მოქალაქემ ისარგებლა, ბევრისთვის დღემდე მაინც უცნობია ამ სამსახურის არსებობა და მნიშვნელობა, ან ხშირად მას სხვა ადვოკატურებთან აიგივებენ. დღევანდელი ნომრის სტუმარია იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე, რომელიც სამსახურის შესახებ გვესაუბრება.*



იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის ირაკლი კობიძის განმარტებით, იურიდიული დახმარების სამსახური არის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია, თავის ფუნქციებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს სოციალურად გაჭირვებული, გადახდის უუნარო მოქალაქეებისთვის სამართლებრივი მომსახურების გაწევა. კანონის შესაბამისად იურიდიული დახმარების სამსახური სამართლებრივ დახმარებას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებით. პირველი – სისხლის სამართლის საქმეებზე – იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებიდან უზენაესი სასამართლოს ინსტანციის ჩათვლით, მონაწილეობენ და წარმოადგენენ ერთის მხრივ დაცვის ქვეშ მყოფის ბრალდებულის, განსასჯელის ინტერესებს და მეორეს მხრივ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაზარალებულების ინტერესების დაცვას, თუ აღნიშნული პირები რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში. მეორე – არის

გაგრძელება 2 გვ.

## გზა სახაზინო ადვოკატიდან იურიდიული დახმარების სამსახურამდე

ვარდების რევოლუციის შემდეგ ცხადი გახდა, რომ საბჭოური გადმონაშთი – ”სახაზინო ადვოკატურა”, თავის ფუნქციას ველარ ასრულებდა. მეტიც, იგი ხშირად პროკურატურის დანამატად, ანუ ბრალდების მხარის ინტერესების დამცველად იქცა. ახლადშექმნილი კერძო ადვოკატურების ადვოკატების დაქირავება კი გაჭირვებული მოქალაქეებისთვის, რომლებიც მაშინ მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტს შეადგენდნენ, შეუძლებელი იყო. არადა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, დაცვის უფლება ნებისმიერ მოქალაქეს აქვს. სწორედ ამ ვაკუუმის შევსების აუცილებლობამ გამოიწვია თავის დროზე უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის აუცილებლობა.

თითქმის ხუთი წლის წინ ქვეყანაში სრულფასოვანი დაცვის სისტემის რეორგანიზაციის კონცეფცია ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველოს“ სამართლის პროგრამისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა იტვირთა. ქვეყნაში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელების მიერ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებით და საქართველოს რეალობის გათვალისწინებით ადვოკატურის ახალი მოდელი გაკეთდა, რომელიც ჯერ პილოტური პროექტის – საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის სახით შეიქმნა. თავდაპირველად მხოლოდ ორი – ზესტაფონისა და თბილისის საზოგადოებრივი ადვოკატის ბიუროები გაიხსნა, რომლებიც ხუთი-შვიდი თანამშრომელით დაკომპლექტდა.

დაახლოებით წელიწადნახევრიანი მუშაობის შემდეგ ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა აღიარეს, რომ საზოგადოებრივმა ადვოკატურამ გაამართლა და 2007 წლის ივლისში იგი იურიდიული დახმარების სამსახურად გადაკეთდა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა.

სამსახური სახელმწიფოს ხარჯზე არსებული იურიდიული დახმარების სისტემის მაკოორდინირებელი ორგანო გახდა, რომლის დანიშნულებაც უფასო სამართლებრივი მომსახურების გაწევაა. დღეს უკვე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე იცავენ სოციალურად დაუცველი ყველა ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის ინტერესებს, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე. გარდა ამისა, ნებისმიერ მოქალაქეს, ასევე ყოველგვარი გადასახადის გარეშე, შესაძლებლობა აქვს მიმართოს ბიუროებში არსებულ საკონსულტაციო ცენტრებს და მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია მიიღოს. იურიდიული დახმარების ბიუროები მოქმედებენ თბილისში, იმერეთში (ზესტაფონისა და ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროები), სამეგრელოში (ფოთისა და ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროები), აჭარაში (ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო), ქვემო ქართლში (რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო), შიდა ქართლში (გორის იურიდიული დახმარების ბიურო), მცხეთა-მთიანეთში (მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო), კახეთში (თელავის იურიდიული დახმარების ბიურო), რაჭა-ლეჩხუმის (ამბროლაურის იურიდიული დახმარების ბიურო), გურიაში (ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო) და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

გასულ წელს მომხდარი საკონსტიტუციო ცვლილებების გამო იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში იყო გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა. მას შემდეგ რაც პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს გაუერთიანდა, პატიმართა ინტერესების დამცველის ორგანო და ბრალდების მხარე ინტერესთა კონფლიქტში აღმოჩნდნენ. რამდენიმე ვერსიაზე მსჯელობის შემდეგ, ოპტიმალურ ვარიანტად მისი სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სამსახურთან ერთად, ახალ – სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში გაერთიანება გადაწყდა.

ახალ სტურქტურაში გაერთიანების შემდეგაც პრიორიტეტულ ამოცანად იურიდიული დახმარების სამსახურისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შენარჩუნებასთან ერთად, სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიების, საზოგადოებრივი ნდობისა და საზოგადოებრივ ადვოკატად დანიშვნისთვის მოქმედი წინაპირობების ძალაში დატოვება დარჩა.

იურიდიული დახმარების სამსახურმა და მისმა კანონმდებლობამ რამდენიმეწლიანი არსებობის მანძილზე გარკვეული სახე-ცვლილება განიცადა, თუმცა, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მისი და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენამატი გახლავთ ”საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი“. რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატს იურიდიული დახმარების ბიურო იწვევს იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის მიმართავენ ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეები. ასეთ დროს ბიუროს თანამშრომელი ადვოკატი ერთ მხარეს დაიცავს, ხოლო მეორე მხარეს დამცველად მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება – ამ გზით დაცულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმა, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში კრძალავს ერთი საადვოკატო ბიუროდან ორი ან მეტი დამცველის დანიშვნას.

დღეს საქართველოს მოსახლეობას სულ იურიდიული დახმარების სამსახურის 91 ადვოკატი და 15 კონსულტანტი ემსახურება.

# „დაცვის უფლება, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, ყველასთვის უნდა იყოს ერთიანი“

*პირველი გვერდიდან*

ისეთი შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა, კერძოდ, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანია, ან საქმე ეხება ისეთ ბრალდებას, რომელსაც, შესაძლებელია, უვადო თავისუფლების აღკვეთა მოჰყვეს. ამ შემთხვევაში მოქმედებს სავალდებულო დაცვის რეჟიმი. საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, თუ პირი ვერ დაიქირავებს კერძო ადვოკატს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სამართალმწარმოებელი ორგანო, გამოძიება, პროკურატურა, სასამართლო, ვალდებულია ეჭვმიტანილს თუ ბრალდებულს მაინც დაუნიშნოს ადვოკატი. ამ დროს იურიდიული დახმარების სამსახური ერთვება სისხლის სამართლის საქმეში. მესამე შემთხვევა დაკავშირებულია იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის უფლებამოსილების დისკრეციულ გამოყენებასთან. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს, პირი რომც არ იყოს სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისრტირებული და სახეზე არ იყოს სავალდებულო დაცვის საფუძვლები, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, განმცხადებლის თხოვნა დააკმაყოფილოს და მის საქმეში უფასო იურიდიული დახმარების სახით მიავლინოს ადვოკატი. რატომ ჩაიდო კანონში დირექტორის დისკრეციული უფლებამოსილება? ჯერ ერთი იმიტომ, რომ სოციალურად დაუცველთა ბაზა არ არის სრულყოფილი. მეორე პრობლემა 2008 წლის მოვლენებს უკავშირდება. იძულებით გადაადგილებული პირები, ბუნებრივია, საჭიროებდნენ სამართლებრივ დახმარებას. მათი სრულყოფილად რეგისტრაცია კი სოციალურად დაუცველთა ბაზაში, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდებოდა.

რაც შეეხება იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციულ სტრუქტურას – ეს სამსახური ფუნქციონირებს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ფარგლებში, მაგრამ იგი, როგორც სუბიექტი, სარგებლობს საჯარო იურიდიული პირის სტატუსით.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყველამ კარგად ვიცით, რომ ადვოკატი არის თავისუფალი პროფესია, აქედან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი არის გარანტია ამ სამსახურის დამოუკიდებლობისა. ორად ორი ფუნქცია აკავშირებს მინისტრსა და იურიდიული დახმარების სამსახურს – დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება და მეორე – საბიუჯეტო საკითხები. დანარჩენ შემთხვევებში სამსახური აბსოლუტურად დამოუკიდებელია, როგორც საკადრო პოლიტიკაში, ასევე ნებისმიერ სხვა საკითხში.

**– საქართველოში ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებსაც არ სჯერათ, რომ შეიძლება უფასო ადვოკატმა კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა, ამ მიზეზით, ზოგჯერ ეს უნდობლობა თქვენს სამსახურზეც ვრცელდება.**

– პირველი მთავარი პრობლემა, რაც სამსახურის შექმნის დღიდან არსებობს, არის ადრინდელი საბჭოური მოდელის სახაზინო ადვოკატის სტერეოტიპის ნგრევა. მოგეხსენებათ, ეს სამსახური დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატის ფორმალურ მონაწილეობასთან სისხლის სამართლის საქმეში. სტერეოტიპის ნგრევა კი მართლაც რთული საქმეა. ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლება გაჩნდეს საზოგადოებაში განცდა, რომ ადვოკატი, რომელიც ჰონორარს არ იღებს, ნაკლებად კვალიფიციურია, მაგრამ ღირსეული ადვოკატის როლი სისხლის სამართლის წარმოებაში არ უნდა განისაზღვროს აღებული თანხის ან დადგენილი ტარიფების შესაბამისად, ანუ, უფასოა იგი, თუ ფასიანი. დამცველის როლი განისაზღვრება მაღალკვალიფიციურობით და მისი საქმიანობის ეთიკურ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობით. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ საზოგადოებრივ ადვოკატებს გაწეული საქმიანობისათვის ხელფასს უხდის სახელმწიფო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურმა, არსებობის მანძილზე, შეიძინა ძალიან მდიდარი გამოცდილება, სახელმწიფოს და ასევე საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ეზიარა ისეთ დასავლურ ფასეულობებს, რომლის გამოც ადვოკატის უფასოდ მუშაობა დაცვის ქვეშ მყოფის სასარგებლოდ, არ წარმოადგენს დაბრკოლებას ადვოკატის კეთილსინდისიერებისა და მაღალკვალიფიციურობისთვის. ჩვენ ამ კუთხით ვაგრძელებთ მუშაობას და ეს არის ჩვენი რეფორმის გეგმაც, რომ უფასო იურიდიული დახმარების სამსახური იყოს კვალიფიკაციაზე, კეთილსინდისიერებაზე და ეთიკურობაზე ორიენტირებული სამსახური.

**– სამსახურის წარმატებას განსაზღვრავს მისი თანამშრომლები. რა პრინციპით ირჩევს იურიდიული დახმარების სამსახური ადვოკატებს?**

– იურიდიული დახმარების სამსახურში ადვოკატის, ან თუნდაც კონსულტანტის მუშაობის დაწყების ერთადერთი გზა ღია კონკურსია – ეს არის საკანონმდებლო მოთხოვნა, რაც საკმაოდ სამართლიანია. ჩემი აზრით, კონკურსზე უკეთესი შერჩევის მეთოდი, ღირსეული თანამშრომლის შესარჩევად, არ არსებობს. დღეს საქართველოს მოსახლეობას სისხლის სამართალში სულ 91 ადვოკატი ემსახურება. რაც შეეხება კონსულტანტებს, რომელბიც სამართლის ნებისმიერ დარგში კონსულტაციას უწევენ მოქალაქეებს და სამართლებრივ დოკუმენტებს ადგენენ, მათი რიცხვი 15-ია.

**– სამსახურის არსებობის მანძილზე თუ ყოფილა მოქალაქეთა მხრიდან პრეტენზიები და როგორია თქვენი რეაგირება?**

– იურიდიული დახმარების სამსახურში მოქმედებს მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველო, რომლის ფუნქციებშიც, გარდა პრაქტიკის სისტემატიზაციისა, შედის გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლიც, მაგრამ იმ ფარგლებში, რომ არ შეილახოს ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპი. ამ სამსახურის ფუნქციაა ისიც, რომ მოახდინოს რეაგირება მოქალაქის მხრიდან არსებულ რაიმე სახის პრეტენზიაზე, რომ შემდეგში იგივე პრობლემა არ განმეორდეს.

**– თავის დროზე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის შექმნას, რამდენად გაამართლა ამ სამსახურმა?**

– ე.წ. მოწვეულ ადვოკატთა რეესტრი იურიდიული დახმარების სამსახურის ფარგლებში 2009 წლის მაისიდან ამოქმედდა. ეთიკური სტანდარტების შესაბამისად, იურიდიული დახმარების სამსახური იქნება ეს, თუ კერძო საადვოკატო ორგანიზაცია, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ვალდებულია არ დაუშვას ერთი და იგივე სისხლის სამრთლის საქმეში ერთი და იგივე ბიუროდან ორი ან მეტი ადვოკატის მონაწილეობა. ინტერესთა კონფლიქტში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სისხლის სამართლის საქმეში ორი დაცვის ქვეშ მყოფი ერთმანეთს პოზიციურად უპირისპირდება. სწორედ ამ მიზნის უზრუნველსაყოფად შეიქმნა რეესტრის ადვოკატი. იმ შემთხვევაში, თუ კი საქმეში გაჩნდება ინტერესთან კონფლიქტი და დაპირისპირებულ მხარეს არ აქვს შესაძლებლობა აიყვანოს კერძო ადვოკატი, სპეციალური კონტრაქტის საფუძველზე საქმეში ერთვება რეესტრის ადვოკატი, რომელიც არანაირად არ არის დაკავშირებული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთან. რეესტრის ადვოკატს, საქმის შესრულების და გაწეული საქმიანობის შესახებ კანონით დადგენილი ფორმების წარმოდგენის შემდეგ, ერთჯერადი სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ანაზღაურება.



*ირაკლი კობიძე თვლის, რომ იურისტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საპატიო ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნვაა.*
*იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე – დაიბადა 1981 წლის 6 იანვარს. სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე, დაამთავრა ასპირანტურა. 2003 წლიდან მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. 2009 წლის მაისიდან იყო სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მრჩეველი. მოგვიანებით დაინიშნა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილედ, ცოტა ხანში კი დირექტორის თანამდებობაზე.*

**– იურიდიული დახმარების სამსახურის წარმატებული მიმართულებაა ნებისმიერ სამართლებრივ დავაზე უფასო იურიდიული კონსულტაციები. რამდენად ხშირად ითხოვენ მოქალაქეები დახმარებას?**

– კონსულტაცია არის იურიდიული დახმარების სამსახურის მეორე ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია. მომსახურების ეს ფორმა არ გულისხმობს სასამართლოში წარმომადგენლობას კონკრეტული პირის ინტერესების დასაცავად. მაგრამ ჩვენი კონსულტანტები სამართლის ნებისმიერ დარგში – ადმინისტრაციულია იგი თუ სამოქალაქო, საფინანსო სამართალია, თუ შრომითი დავები და ასე შემდეგ, მაქსიმალურად უწევენ იურიდიულ კონსულტაციას მოქალაქეს და ასევე უდგენენ იმ სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებსაც ისინი სასამართლოში საჩივრების განხილვისას გამოიყენებენ ან წარადგენენ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. გარდა წარმატებული სისხლის სამართლის საქმეებისა, ჩვენ გვაქვს წარმატებული კონსულტაციებიც, რომლის გამოყენებითაც ძალიან ბევრმა ჩვენმა ბენეფიციარმა მოიგო ისეთი საქმეები, როგორიც არის ხელფასის ანაზღაურება, აღიდგინა დარღვეული შრომითი უფლება. ორი წლის განმავლობაში იურიდიული დახმარების სამსახურმა დაახლოებით 10 ათასი კონსულტაცია გაწია, როგორც სატელეფონო, ასევე პირადი ფორმით. სამომავლოდ იურიდიული დახმარების სამსახური ვარაუდობს, რომ გაიზრდება მისი მანდატი და ადმინსტრაციულ საქმეებზე მაინც მოხდება ადვოკატების მიერ მათი დაცვის ქვეშ მყოფების სასამართლოზე წარმომადგენლობა.

**– წარმატებების პარალელურად იურიდიული დახმარების სამსახურს ალბათ პრობლემებიც აქვს?**

– მთავარი ჩვენი გამოწვევა 2010 წელს იქნება ახალი საპატიმრო კოდექსის ამოქმედება, რომლის თანახმადაც გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა, მოგვიწევს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულების ინტერესების დაცვა, თუ ციხის ადმინისტრაციის მხრიდან მათ მიმართ წარმოებული იქნება დისციპლინური საქმეები. ამ სიახლისთვის ყველა ადვოკატმა, რომელიც მუშაობს ციხის სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსებულ ბიუროში, უნდა გაიაროს ტრენინგი. 2010 წლის 1 ივნისიდან იურიდიული დახმარების სამსახური ნაწილობრივ ჩაერთვება ამ პროცესებში. მეორე დიდი გამოწვევაა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომლის თანახმადაც მართლმსაჯულების სისტემაში ახალი კონცეფცია შემოვა. ამ დროს გაცილებით მაღალი და მნიშვნელოვანი იქნება ადვოკატის როლი. ვმუშაობთ ასევე ღირსეული სამუშაო პირობების შესაქმნელად, არა მხოლოდ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის, არამედ იმ პირებისთვისაც, ვინც ამ სამსახურით სარგებლობენ. აღსანიშნავია, დონორი ორგანიზაციების როლი, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის ბიურო გაეროს დაფინანსებით გაკეთდა, ქუთაისის ბიუროს მშენებლობა ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიამ განახორციელა და ა.შ.

**– ქართული სამართალწარმოება მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის ემზადება, ამ რეფორმის ნაწილია იურიდიული დახმარების სამსახურიც, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

– საქართველოში ხორციელდება სისხლის სამართლის ძალიან მნიშვნელოვანი და ძირეული რეფორმა, რომელიც საბოლოოდ მიზნად ისახავს დასავლური სტანდარტების დანერგვას. იურიდიული დახმარების სამსახური გახლავთ ამ სისტემის ძალიან მნიშვნელოვანი მონაწილე, როგორც ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული და ეფექტურ დაცვის განხორციელებაზე მიზანსწრაფული ორგანიზაცია. რეფორმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს – ინფრასტრუქტურის განვითარება და პროფესიონალიზმის ამაღლება. ძალიან მნიშვნელოვანი გეგმები გვაქვს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით. საბოლოო ჯამში რეფორმის მიზანი არის საზოგადოებას შევთავაზოთ მოდერნიზებული, ეფექტური, სწრაფი და, რაც მთავარია, მაღალკვალიფიციური და სანდო წარმომადგენლობა სასამართლოში, რათა ნებისმიერმა ადამიანმა იგრძნოს თავი დაცულად, მიუხედავად იმისა, რომ არის გადახდის უუნარო და არ აქვს საშუალება აიყვანოს კერძო ადვოკატი. საბოლოო ჯამში, ეს ემსახურება კონსტიტუციით გარანტირებულ დაცვის უფლებას, რომელიც განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, ყველასთვის უნდა იყოს ერთიანი.

# მძიმე ბრალდებაში გამართლებული განსასჯელი

## განსასჯელის გამართლება საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებული მ. გ. რომელსაც, წარდგენილი ბრალდების მიხედვით, 16-დან 20 წლამდე, ან უვადო პატიმრობა ემუქრებოდა, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა.

იგი ძებნილად იყო გამოცხადებული და მას დაუსწრებლად ასამართლებდნენ. განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი ორი პირის მიმართ – ასეთი გახლდათ მ. გ.-სთვის წარდგენილი მძიმე ბრალდება, რომელიც თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, მერაბ წკრიალაშვილის მყარი არგუმენტებით, სასამართლო პროცესზე გაბათილდა და განსასჯელი მართლმსაჯულებამ უდანაშაულოდ ცნო.

გასული წელი ადვოკატ მერაბ წკრიალაშვილისთვის „როგორც თავად აცხადებს, ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. ის განსაკუთრებით კმაყოფილია საქმით, რომელიც ორი პირის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს ეხებოდა და ადვილი შესაძლებელი იყო, მისთვის ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯათ. საქმე ისაა, რომ ადვოკატმა დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის დამტკიცება შეძლო. როგორც გაირკვა, ადვოკატ მერაბ წკრიალაშვილის პრაქტიკაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის საქმე მისი დაცვის ქვეშ მყოფის სრული გამართლებით დასრულდა.

იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მერაბ წკრიალაშვილი საქმეში მოგვიანებით, იმ დროს ჩაერთო, როდესაც სასამართლო გამოძიება უკვე დაწყებული იყო, გავლილი იყო შუამდგომლობების დაყენებისა და დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების ეტაპი, ასევე, დაკითხული იყო უკვე ბრალდების მხარის რამდენიმე მოწმეც.

“საქმეში მას შემდეგ ჩავერთე, რაც მ. გ-ს ყოფილმა ინტერესების დამცველმა, გაურკვეველი მიზეზის გამო, საქმე აიცილა. უკვე ჩემი მონაწილეობით დაიკითხა დაზარალებული, რომელმაც წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება მთლიანად შეცვალა და სასამართლოს განუცხადა, რომ მისთვის უცნობი იყო, ვინ მიაყენა მას სიცოცხლისთვის საშიში, მძიმე დაზიანება. მეორე დაზარალებულმაც განაცხადა, რომ მ. გ-ს ის არ დაუჭრია. ფოტოსურათით ამოცნობისას დაზარალებულმა განაცხადა, რომ განსასჯელს არ იცნობდა,” – ამბობს ადვოკატი მერაბ წკრიალაშვილი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა დაზარალებულების ხელმეორედ დაკითხვა მოითხოვა. “მათზე ხდებოდა ზეწოლა და ჩვენებები ამის გამო შეცვალეს”, – ასეთი იყო პროკურორის არგუმენტი.

სასამართლო პროცესზე დაზარალებულები მართლაც ხელმეორედ დაიკითხნენ, თუმცა, მათ იგივე გაიმეორეს.



*მერაბ წკრიალაშვილი დაიბადა 1982 წელს, ქალაქ თბილისში. დაამთავრა 45-ე საშუალო სკოლა. 2003 წლიდან შეუდგა საადვოკატო მოღვაწეობას. მანამდე კი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ეკონომიკისა და სამართლის სახელმწიფო კოლეჯი. მოგვიანებით, სწავლა განაგრძო თბილისის სამართლის ეკონომიკისა და კომერციული საქმიანობის ინსტიტუტში. 2007 წლიდან მუშაობს იურიდიული დახმარების სამსახურში. მიაჩნია, რომ იურიდიული დახმარების სამსახური, როგორც ორგანიზაცია, შედგა და ამ სამსახურმა სრულად აითვისა ქვეყანაში არსებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფენა. იურისტის შეფასებით, იურიდიული დახმარების სამსახურმა, მოკლე ვადაში, პრაქტიკულად ყველა იმ კითხვას გასცა პასუხი, რაც კი არსებობდა საზოგადოებაში, ან თუნდაც იურიდიულ წრეში, რაც მისივე განმარტებით, მიღწეული შედეგებით დასტურდება.*

“სახელმწიფო ბრალმდებელი ირწმუნებოდა, რომ ხელმეორედ დაკითხვას თავად დაზარალებულები ითხოვდნენ, რაც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. თუკი ეს სიმართლე იყო, მათ სხვა ჩვენება უნდა მიეცათ სასამართლოსთვის, არადა, გაიმეორეს იგივე,” – განმარტავს ადვოკატი მერაბ წკრიალაშვილი.

სასამართლო პროცესზე, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები გადათქვა ასევე ბრალდების ორმა მოწმემ.

სასამართლო გამოძიების მიმდინარეობის ბოლო ეტაპზე, წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევის დასრულების შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა მერაბ წკრიალაშვილმა საქმეში არსებული საექსპერტო დასკვნების დაუშვებლად ცნობის თაობაზე შუამდგომლობა დააყენა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

მხარეთა კამათის ეტაპზე, სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელისთვის 17-წლიანი პატიმრობა მოითხოვა. დაცვით სიტყვაში კი ადვოკატმა მერაბ წკრიალაშვილმა მყარი არგუმენტებით და იმ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც მთლიანად გამორიცხავდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ ჩადენილ დანაშაულს, მ. გ-ს გამართლება მოითხოვა. ყველაფერი კი ბოლოს იმით დასრულდა, რომ სასამართლომ მ. გ. უდანაშაულოდ ცნო.

“საქმის სასამართლო გამოძიებისას, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი ვერ გამოვლინდა. მტკიცებულებები, რაც კი საქმეში არსებობდა, განსასჯელს არ ამხელდა წარდგენილ მძიმე ბრალდებაში. აქედან გამომდინარე, ის უნდა გამართლებულიყო,” – ასეთია ადვოკატის პოზიცია.

# იურიდიული დახმარების სამსახური დღეს

“საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის” პილოტური პროექტი 2004 წელს ამოქმედდა და თავდაპირველად ფუნქციონირება დაიწყო იურიდიული დახმარების ორმა ბიურომ - დედაქალაქის გლდანი-ნაძალადევის რაიონში და ზესტაფონში. 2007 წლის ნოემბერიდან კი, იურიდიული დახმარების ბიუროები ამოქმედდა: კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში, საკონსულტაციო ცენტრები ამუშავდა ოზურგეთსა და ამბროლაურში.

2008 წელს საზოგადოებრივ ადვოკატთა მომსახურებით 11 ათას 176 მოქალაქემ ისარგებლა. მათ შორის 432 არასრულწლოვანი იყო. სამართლებრივი კონსულტაციისთვის იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებს 4 ათას 682 მოქალაქემ მიმართა.

2009 წელს უფასო კონსულტაციებით ორჯერ მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. გასულ წელს უფასო იურიდიული კონსულტაცია და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის მომსახურება 10 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიიღო. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იურიდიული დახმარების სამსახურს უფასო კონსულტაციისათვის, ძირითადად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, მემკვიდრეობის, უძრავი ქონების, საკუთრების უფლების, შრომითი ურთიერთობებისა და სხვადასხვა სოციალურ საკითხებში უკეთ გარკვევის მიზნით მიმართავენ.

### გამორჩეულად დატვირთული ოფისი

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო 2005 წლის ივლისიდან მოქმედებს. ბიურო, სადაც სამართლებრივი დახმარების ახალი სისტემის პილოტირება დაიწყო, “საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის” პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა. დღეისთვის ბიუროში დასაქმებულია 30 საზოგადოებრივი ადვოკატი, 2 კონსულტანტი და სპეციალისტი. თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი უმსხვილესი ოფისია, რომელზეც საზოგადოებრივ ადვოკატთა მიერ წარმოებაში მიღებული საქმეების 1/3 მოდის.

2009 წელს ბიუროს ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 2972 სისხლის სამართლის საქმეზე. კონსულტანტებმა კი სამართლებრივი დახმარება 149 მოქალაქეს გაუწიეს და 183 იურიდიული დოკუმენტი შეუდგინეს.

2009 წელს თბილისის ბიუროში დასაქმებულმა საზოგადოებრივმა ადვოკატებმა და კონსულტანტებმა დევნილთა რამდენიმე კომპაქტურ დასახლებაში გასვლითი კონსულტაციები ჩაატარეს. ჩაერთვნენ ისეთ მასშტაბურ აქციაში, როგორიც იყო “ანგარიში ხალხს”.

### პრიორიტეტი – არასრულწლოვნები, პრობაციონერები და დევნილები

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაა რუსთავი, ასევე გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკისა და დმანისის რაიონები.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 1123 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 62 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა 387 მოქალაქეს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია და 96 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

ბიუროს იურისტებმა იმუშავეს ისეთ პრიორიტეტულ ჯგუფებთან როგორებიცაა არასრულწლოვანები, პრობაციონერები და დევნილები.

**იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ 2009 წლის პერიოდში წარმოებაში მიღებული სისხლის სამართლის საქმეები**




შეხვედრების ერთ-ერთი საინტერესო შედეგი პრობაციონერებისათვის იურიდიული კონსულტაციების ორგანიზება იყო. პრობაციის ადგილობრივ ბიუროსთან თანამშრომლობით ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტები ბოლნისის, თეთრიწყაროსა და მარნეულის რაიონებში მცხოვრებ პირობით მსჯავრდებულებს შეხვდნენ და განუმარტეს მათი უფლება-მოვალეობები. ბიუროს იურისტებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გამოსაცდელი ვადის პერიოდში განმეორებით ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივი შედეგები, ასევე არასრულწლოვანი და სოციალურად დაუცველი პრობაციონერებისათვის კანონით დადგენილი შეღავათები. საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტებისგან უფასო იურიდიული კონსულტაციები არასრულწლოვანმა პრობაციონერებმაც მიიღეს.

### შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს ეს ოფისი მოიცავს კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებს. შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 5 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 442 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 47 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 360 მოქალაქეს გაუწია და 109 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

შიდა ქართლის ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები მოაწყვეს გორში, კარალეთში, მოხისში, შავშვებსა და ხურვალეთში მცხოვრები დევნილებისათვის, სადაც დევნილთათვის აქტუალური სამართლებრივი საკითხები განიხილეს.

### სამეგრელოს რეგიონის ოფისები

სამეგრელოს რეგიონში ორი იურიდიული დახმარების ბიურო მოქმედებს. სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს სერვისით მომსახურება შეუძლია ფოთის, ასევე სენაკის, აბაშისა და მარტვილის რაიონების მოსახლეობას. იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 4 საზოგადოებრივი ადვოკატი,

*გაგრძელება 4 გვ.*

## თქვენი ადვოკატი

**1. როგორ დავრეგისტრირდე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში?**

სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც უნდა შეავსოთ ანკეტა-განცხადება, ამის საფუძველზე სოციალური აგენტი შეაფასებს საცხოვრებელს და მოგანიჭებთ სარეიტინგო ქულას. თუ ქულა ნაკლებია 57 000-ზე, მაშინ სახელმწიფოსაგან მიიღებთ ფულად დახმარებას.

**2. ვის მივმართო საპენსიო დანამატის მისაღებად და რა დოკუმეტებია საჭირო?**

სამუშაო სტაჟის მიხედვით საპენსიო დანამატის მისაღებად უნდა მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. თან უნდა წარადგინოთ განცხადება, შრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა სამუშაო სტაჟის შესახებ, პირადობის მოწმობის ასლი.

**3. ვინ ითვლება პირველი რიგის მემკვიდრედ კანონით მემკვიდრეობის დროს?**

კანონით მემკვიდრეობის დროს პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები, მშვილებლები. შვილიშვილი იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილია მისი მშობელი.

**4. რა ვადაში შეიძლება სამკვიდრო მოწმობის მიღება?**

სამკვიდრო მოწმობა გაიცემა სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ამ ვადის შიგნით შესაძლებელია მოწმობის მიღება, თუ დადასტურდება ნოტარიუსის მიერ რომ არ არიან სხვა მემკვიდრეები ამ ქონებასთან დაკავშირებით.

**5. როგორი ფორმით შეიძლება ანდერძის შედგენა?**

ანდერძი შედგენილ უნდა იქნას მოანდერძის მიერ წერილობითი ფორმით, რაც დადასტურდება ნოტარიული წესით და დახურული კონვერტით შეინახება ნოტარიუსთან. შესაძლებელია ე.წ. შინაურული ანდერძის შედგენა, რისთვისაც საკმარისია მოანდერძის ხელის მოწერა.

**6. რომელი ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას?**

მეუღლეთა თანასაკუთრებას წამოადგენს თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება, ხოლო ის რაც მათ ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, ასევე ქონება რომელიც მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიიღეს წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას.

**7. მამამ მთელი ქონება ანდერძით დაუტოვა თავის ძმას, გვეკუთვნის თუ არა რაიმე წილი მისი ქონებიდან შვილებს?**

მიუხედავად ანდერძის შინაარსისა მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ეკუთვნით სავალდებულო წილი მამკვიდრებლის ქონებიდან, რაც იქნება იმ წილის ნახევარი, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდათ თითოეულ მათგანს.

**8. რომელი ორგანო ახორციელებს მეურვეობას და მზრუნველობას?**

მეურვეობასა და მზრუნველობას ახორციელებენ ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები.

**9. როგორ ხდება ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა?**

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად ჩაითვლება თუ დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონით დადგენილი წესი. ადმინისტრაციულ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ორგანო. გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომი ორგანო ან სასამართლო.

**10. ხანდაზმულობის რა ვადაა დადგენილი სახელშეკრულებო მოთხოვნებზე?**

სახელშეკრულებო მოთხოვნების ვადა არის 3 წელი, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით ეს ვადა შეადგენს 6 წელს, საერთო ხანდაზმულობის ვადა არის 10 წელი. ვადის ათვლა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან ანუ როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

**11. ვერ ვახერხებ ბინის პრივატიზებას იმის გამო რომ ე.წ. ბინის ორდერში მამის სახელი შეცდომით არის დაფიქსირებული. რომელ ორგანოს უნდა უნდა მივმართო მოცემული საკითხის გადასაწყვეტად?**

ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს იურიდიული ფაქტის დადგენა სასამართლოს მიერ. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სასამართლო ადგენს ფაქტებს უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი რაც საბუთებშია აღნიშნული არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს.

***მოქალაქეების კითხვებზე პასუხები მოამზადეს იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს იურისტებმა.***

# იურიდიული დახმარების სამსახური დღეს

## თქვენი მეგზური

*იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:*

* სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

*ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?*

* კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.

* იმ დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლითაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

* განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

*უფასო იურიდიული კონსულტაცია:*

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართლაზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.

იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებია:

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ
ტელ: 8(32) 623324;

კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: 8 (250) 71538;

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: 8(32) 513873;

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(24) 15-77-22

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მის.: გორი, ხერხეულიძის ქ. №7
ტელ: 8 (270) 7 88 37

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: 8 (292) 40250;

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: სადგურის მოედანი №3
ტელ: 8 (231) 5-34-11

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: 8 (215) 53472;

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: 8 (293) 43332;

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6
ტელ: 8 (88 222) 31799;

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17
ტელ: 891 115571

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ: 895 308847

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.
ტელ: 8(296) 73824

იურიდიული დახმარების სამსახური
რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: (+995 32) 988493; 932090
ფაქსი: (+995 32) 988493
info@legalaid.ge; www.legalaid.ge

*მესამე გვერდიდან*

კონსულტანტი და სპეციალისტი. 2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 317 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 15 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 444 მოქალაქეს გაუწია და 123 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

ამ რეგიონის მეორე ბიურო - სამეგრელოს-ზუგდიდის ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში და ემსახურება ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მესტიის რაიონებს. სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 6 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 565 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 13 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 444 მოქალაქეს გაუწია და 123 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურომ არა ერთი გასვლითი კონსულტაცია განახორციელა. მოქალაქეები ძირითადად უძრავი ქონების რეგისტრაციის, ქონების მემკვიდრეობით მიღების, მიწის ნაკვეთის დაკანონების, პენსიის დანიშვნის, სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისა და სხვა საკითხებით ინტერესდებოდნენ. მათ სპეციალური საინფორმაციო მასალებიც დაურიგდათ.

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის ლექციები ჩაატარეს.

### იმერეთის ბიუროები

სამეგრელოს მსგავსად, იმერეთის რეგიონშიც იურიდიული დახმარების ორი ბიურო არსებობს და როგორც სტატისტიკიდან ჩანს, ორივე ბიურო საკმაოდ დატვირთულია – უფასო იურიდიული მომსახურებით, რეგიონის მოსახლეობა საკმაოდ აქტიურად სარგებლობს.

იმერეთის-ზესტაფონის ბიურო 2005 წლის ივლისში, "საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის" პილოტური პროექტის ფარგლებში ამოქმედდა. 2007 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის შემდეგ ბიურომ საქმიანობა იმერეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ზესტაფონის განყოფილების სახით გააგრძელა, ხოლო 2008 წლის ივლისიდან მას იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო ეწოდა. ეს ოფისი მოქმედებს ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონების მოსახლეობის სამართლებრივი დახმარებისთვის. ამჟამად იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 4 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი.

გასულ წელს ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 252 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 35 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 1568 მოქალაქეს გაუწია და 426 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

იმერეთის რეგიონში კიდევ ერთი ბიურო ფუნქციონირებს – იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო. იგი ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში და მისი სამოქმედო ტერიტორიაა ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოსა და ტყიბულის რაიონები. იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 8 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. 2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 1937 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 98 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 507 მოქალაქეს გაუწია და 75 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

ბიუროს ბაზაზე იურიდიული კლინიკა ფუნქციონირებს. პროექტის ფარგლებში 2009 წლის პირველ ნახევარში სტაჟირება ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრატურის სტუდენტების პირველმა ნაკადმა გაიარა. 2009 წლის ნოემბრიდან კი ბიუროში სტაჟირებას ამავე უმაღლესი სასწავლების სამართლის მაგისტრატურის სტუდენტთა ახალი ნაკადი აგრძელებს.

### სამართლებრივი დახმარება კახეთის მოსახლეობისთვის

კახეთის იურიდიული ბიუროს მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების მაცხოვრებლებს. კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 5 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი.

გასულ წელს ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 457 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 55 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 475 მოქალაქეს გაუწია და შეადგინა 156 სამართლებრივი დოკუმენტი.

სხვა ბიუროების მსგავსად, კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროსთვისაც პრიორიტეტული აღმოჩნდა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია და დევნილთა პრობლემების შესწავლა. გარდა ამისა, კახეთის იურიდიული დახმარების ბიურომ სამართლებრივი კონსულტაციები გაუწია თელავში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს. ბიუროს თანამშრომლებმა დევნილებს მიაწოდეს ინფორმაცია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადასტურების, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების კანონით დადგენილი წესების, მიწის მფლობელობის, მემკვიდრეობისა და დევნილთათვის დაწესებული სახელმწიფო დახმარების შესახებ. კახეთის ბიუროს წარმომადგენლებმა გასვლითი კონსულტაციები ჩაატარეს ყვარლის რაიონის სოფლებშიც.




### მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო მოქმედებს მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებში. მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 4 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. როგორც სტატისტიკიდან ჩანს, ამ რეგიონშიც ბიუროს მომსახურებით მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს. 2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 325 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 30 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 548 მოქალაქეს გაუწია და 121 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები დევნილთა იმ კომპაქტურ დასახლებებში გამართეს, რომლებიც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად გაჩნდა. სხვადასხვა პერიოდში უფასო იურიდიული კონსულტაციები წეროვანში, წილკანში, მისაქციელში, საგურამოსა და წინამძღვრიანთკარში ჩასახლებულმა დევნილებმა მიიღეს.




### აჭარის ბიურო

აჭარის ბიურო ემსახურება ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ქედის რაიონებს. აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 6 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი.

გასულ წელს ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 901 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 108 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 334 მოქალაქეს გაუწია და 65 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას, ხელვაჩაურის რაიონის სოფლების გონიოსა და ახალშენის მოსახლეობისათვის ჩაატარეს. მოქალაქეები ძირითადად მიწის ნაკვეთზე საკუთრების აღიარებისა და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის საკითხებით ინტერესდებოდნენ. იმერეთის-ქუთაისისა და თბილისის ბიუროების მსგავსად, სტუდენტთა პირველმა ჯგუფმა აჭარის ბიუროში სტაჟირება 2009 წლის ივნისში დაასრულა. 2009 წლის ნოემბრიდან კი იურიდიული კლინიკის პროექტში მონაწილეობა სტუდენტთა ახალმა ნაკადმა განაგრძო.

### სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო ამოქმედდა 2010 წლის იანვარში. ბიურო მოიცავს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის რაიონებს. სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია ექვსი საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი.

### საკონსულტაციო ცენტრები

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდა 2008 წლის ივნისში. ცენტრში დასაქმებული კონსულტანტი თეა ჩიკვაიძე ემსახურება ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონების მოსახლეობას. 2009 წელს ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრმა უფასო სამართლებრივი კონსულტაციები 208 მოქალაქეს გაუწია. მომზადდა სხვადასხვა სახის 65 იურიდიული დოკუმენტი.

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრმა გასვლითი კონსულტაციები განახორციელა ონის, ლენტეხისა და ამბროლაურის რაიონების სოფლების მოსახლეობისათვის. თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ცენტრის იურისტმა თეა ჩიკვაიძემ შეხვედრები რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი სამსახურის იურისტებსა და ამბროლაური რაიონის სოფლების რწმუნებულებთან გამართა. გარდა ამისა, თეა ჩიკვაიძემ ლექციები ამბროლაურის N1 და N2 საჯარო სკოლების უფროსკლასელებისათვის ჩაატარა.

მეორე საკონსულტაციო ცენტრი 2008 წლის მაისში ოზურგეთში ამოქმედდა. კონსულტანტი იამზე მემარნიშვილი ემსახურება ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონების მოსახლეობას. 2009 წელს ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრმა უფასო სამართლებრივი კონსულტაციები 849 მოქალაქეს გაუწია. მომზადდა სხვადასხვა სახის 121 იურიდიული დოკუმენტი.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.
იურიდიული დახმარების სამსახური
გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ